

პროგრამა განხორციელდა 2010-2011 წლებში გაზეთებისა და ახალი ამბების გამომცემლების მსოფლიო ასოციაციის (WAN-IFRA), აირექს ევროპის, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტისა და რეგიონული მედიის ასოციაციის მიერ.

დონორი ორგანიზაცია: ევროპის კავშირი

პროექტის კომპონენტები

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის პროექტის კომპონენტებია:

1. რეგიონული მედიის მონიტორინგი
2. რეგიონული შეხვედრები - "დიალოგი მედიას, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის"
3. სიღრმისეული რეპორტაჟის მომზადება
4. კონფლიქტების გაშუქება

რეგიონული მედიის მონიტორინგი

კომპონენტი ითავლისწინებდა სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ ინიცირებული და მისივე კოორდინირებით შექმნილი [საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის](#) პოპულარიზებას და ქარტიის ეთიკური პრონციპების დამწერგავი პირველი ქართული სახელმძღვანელოს შექმნას.

ორგანიზაციამ შეიმუშავა [მონიტორინგისთვის საჭირო მეთოდოლოგია](#) საგაზეთო სტატიის ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასთან შესაბამისობის გასაანალიზებლად. მეთოდოლოგია მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე შინაარსობრივ მხარეს. ორგანიზაციამ შეარჩია მონიტორები (მაია მეცხვარიშვილი და ნინო დანელია), რომელთაც უნდა გაეანალიზებინათ სტატიები ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასთან მიმართებით.

მასალების შესაგროვებლად მომზადდა და გამოქვეყნდა [სპეციალური განცხადება](#) და [მიმართვა](#) ჟურნალისტებისათვის, რომელთა საფუძველზე ჟურნალისტებს მოხალისეობრივ საწყისებზე უნდა მიეღოთ მონაწილეობა პირველი ქართული სახელმძღვანელოს შექმნაში. ორგანიზაციას მიაწოდეს სულ 35 სტატია, რომელთაგან ერთი ნაწილი თავად ავტორებმა გადმოგზავნეს, მეორე ნაწილი კი – სხვა ჟურნალისტებმა. მოხდა სტატიების დახარისხება და მონიტორებისთვის მიწოდება.

მონიტორებმა მოამზადეს 10–10, ჯამში 20 ქეისი. ქეისების ნაწილი განიხილეს 2010 წლის 17–18 ივლისს გამართულ ჟურნალისტური ეთიკის სემინარზე, რომელსაც უძღვებოდნენ ჰოლანდიელი ექსპერტი, ჰოლანდიის პრესის საბჭოს მდივანი – დაფნე კოენი, მედია ექსპერტი – ნინო დანელია და ჟურნალისტი – მაია მეცხვარიშვილი.

საქართველოს მედიის ხელშეწყობის პროგრამა

სემინარზე ჟურნალისტებმა ასევე განიხილეს უცხოური ქეისები, რომელიც დაფნე კონმა სპეციალურად აღნიშნული სამუშაო შეხვედრისთვის ჩამოიტანა. ჰოლანდიელი ექსპერტის მიერ გაკეთდა ასევე საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და ნიდერლანდების ეთიკის ქარტიის შედარებითი ანალიზი.

ნინო დანელიასა და მათა მეცხვარიშვილის მიერ მომზადებული ქეისების საფუძველზე დაიბეჭდა და გამოიცა [ეთიკის პირველი ქართული სახელმძღვანელო](#) (სულ 300 ეგზემპლარი), რომელშიც აღწერილია ის, თუ როგორ მუშაობს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია პრაქტიკაში.

სახელმძღვანელოები დაურიგდა სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებს:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. საქართველოს უნივერსიტეტი
5. კავკასიის მედიის სკოლა
6. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

რეგიონული შეხვედრები - "დიალოგი მედიას, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის"

კომპონენტი ითვალისწინებდა მედიის ირგვლივ არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას საქართველოს რეგიონებში.

პროექტის სამუშაო ჯგუფმა დაგეგმა და მოამზადა გრაფიკი რეგიონული შეხვედრებისათვის, რომელიც ითვალისწინებდა სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის შეხვედრას სამოქალაქო საზოგადოებისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან საქართველოს ექვს რეგიონში:

1. აჭარა
2. გურია
3. სამეგრელო–ზემო სვანეთი
4. იმერეთი
5. კახეთი
6. შიდა ქართლი

ორგანიზაციის მიერ მომზადდა [შეხვედრების მეთოდოლოგია](#) და ანკეტა, რომელიც სამუშაო შეხვედრის ბოლოს მონაწილეთა გამოკითხვას ითვალისწინებდა.

შეხვედრები ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე გაიმართა მოსამზადებელი, ხოლო მეორე ეტაპზე სამუშაო შეხვედრები შემდეგ ქალაქებში:

1. აჭარა/[ბათუმი](#)
2. გურია/[ოზურგეთი](#)
3. სამეგრელო–ზემო სვანეთი/[ფოთი](#)
4. იმერეთი/[ქუთაისი](#)
5. კახეთი/[სიღნაღი](#)
6. შიდა ქართლი/[გორი](#)

მოსამზადებელ შეხვედრები სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა გამართა ადგილობრივი მედიის ხელმძღვანელებთან და რეგიონულ კოორდინატორებთან (კოორდინატორების შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვრა რეგიონული შეხვედრების მეთოდოლოგიაში).

სამუშაო შეხვედრა 3.5 სათით განისაზღვრა, მონაწილეთა რაოდენობა 20 კაცით, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა სექტორს წარმოადგენდნენ:

მედია

არასამთავრობო ორგანიზაციები

უნივერსიტეტი

ბიბლიოთეკა

ადგილობრივი ხელისუფლება

საზოგადოების სხვა აქტიური წევრები (განათლებისა და ჯანდაცვის სფეროს, ბიზნეს სექტორისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები)

შეხვედრების მიზანი იყო ქართული მედიის ირგლივ არსებული პრობლემების შესახებ მსჯელობა და ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძიება; გარკვევა იმისა, თუ რა ფაქტორები უშლის ხელს თავისუფალ მედიასა და ხელისუფლებას შორის კონსტრუქციული, საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებას; და რა პრობლემები არსებობს მედიასა და არასახელისუფლებო ინსტიტუციებს შორის.

სამუშაო შეხვედრებზე განისაზღვრა პრობლემები ერთი მხრივ, მედიასა და სამთავრობო სექტორს და მეორეს მხრივ, მედიასა და არასამთავრობო ინსტიტუციებს შორის. გაკეთდა საერთო პრობლემებისა და მათ შორის, პრიორიტეტული პრობლემების ჩამონათვალი. დისკუსიის მონაწილეებმა, სამუშაო ფურცლების მეშვეობით, მოგვაწოდეს თავიანთი მოსაზრებები არსებული პრობლემების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით. 6 ქალაქიდან

წამოღებული სამუშაო მასალა და საერთო მონაცემები მედიის პრობლემების [სიღრმისეულ კვლევას](#) დაედო საფუძვლად, რომელიც მომზადდა და გამოიცა სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ.

2011 წლის 27 აპრილს სასტუმროში "თბილისი მარიოტი" გაიმართა [რეგიონული შეხვედრების შედეგებისა და ეთიკის პირველი ქართული სახელმძღვანელოს](#) პრეზენტაცია.

სიღრმისეული რეპორტაჟის მომზადება

კომპონენტი ითვალისწინებდა სიღრმისეული რეპორტაჟების მომზადებას ჟურნალისტებისა და მედია ორგანიზაციების მიერ სპეციალურად შერჩეული მენტორის დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით.

კონკურსი სიღრმისეული რეპორტაჟების მომზადებაზე გამოცხადდა ორ რაუნდად.

მენტორების შერჩევა რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით მოხდა, რომლებიც რანჟირების პრიციპით იყო დალაგებული.

პირველი რაუნდი

პირველი რაუნდის მენტორად შერჩეულ იქნა ელისო ჩაფიძე. კონკურსისთვის შემდეგი თემები იქნა განსაზღვრული:

1. ჯანმრთელობის დაზღვევა
2. სოფლის მეურნეობის რენტაბელობა და მარკეტინგი
3. დევნილების სოციალური პროფილი

კონკურსის ფარგლებში უნდა მომზადებულიყო 2 ფილმი და 5 სტატია.

კონკურსში ნაწილეობის მსურველებს უნდა წარმოედგინათ გეგმა-პროექტები, რომელიც იქნებოდა მედია პროდუქტის სქემატური მონახაზი. გაიმართა ღია კარის დღე და გამოქვეყნდა ხშირად დასმული შეკითხვები.

კონკურსში მონაწილეობდა 21 გეგმა-პროექტი, რომელთაგან შეირჩა 7 საუკეთესო. გამარჯვებული აპლიკანტები იყვნენ:

1. „FM სტუდია“
2. „სტუდია მონიტორი“
3. ლიკა ზაკაშვილი
4. რეზო საყვეარიშვილი
5. მანანა მაზიაშვილი

6. ლიკა ბასილაია-შავგულიძე
7. თემურ მარშანიშვილი

პუბლიკაციები:

1. [სოფლის მეურნეობა - ყველასგან მიტოვებული...](#)
2. [სწავლა დევნილობაში - სტიგმა თუ სამუშაო ადგილები დევნილი პედაგოგებისათვის](#)
3. [ასეთი ადამიანები ოჯახსაც სჭირდება, ქვეყანასაც და საკუთარ თავსაც](#)
4. [ლურჯი მოცვის პოტენციალი და პერსპექტივა გურიაში](#)
5. [ქვეყნის აგრარულ პოლიტიკაში თავისი ადგილი უნდა დაიჭიროს მეკამეჩობამ](#)
6. [საქართველოში ფერმერი მიწას გაურბის](#)
7. [ჯანმრთელობის დაზღვევა](#)

ფილმები:

1. სოფლის მეურნეობის რენტაბელობა და მარკეტინგი
2. დევნილობის ფასი

მეორე რაუნდი

მეორე რაუნდის მენტორად შერჩეული იქნა ია ბერსენაძე. კონკურსისთვის შემდეგი თემები იქნა განსაზღვრული:

1. ბოლოდროინდელი ცვლილებები საჯარო სკოლის ცხოვრებაში
2. ბუნებრივი კატაკლიზმები და თემთა მზაობა
3. შრომითი მიგრაცია საქართველოდან

კონკურსის ფარგლებში უნდა მომზადებულიყო 3 ფილმი და 7 სტატია.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 37-მა გეგმა-პროექტმა, რომელთაგან შეირჩა 10 საუკეთესო. გამარჯვებული აპლიკანტები იყვნენ:

1. შპს "ლოკოკინო"
2. მედიის განვითარების ფონდი "პალიტრა"
3. ა.ი.პ.სტუდია "ახალი დროება"

4. თინათინ მოსიაშვილი
5. ლაშა ზარგინავა
6. ქეთევან თუთბერიძე
7. მანანა იაშვილი
8. ნატო გოგელია
9. ნატალია ცისკარაშვილი
10. ლია ზაკაშვილი

პუბლიკაციები:

რამდენიმე საათი გურიიდან სტამბულამდე

ქალების შრომით მიგრაცია – ეგალიტარიზმი თუ ექსპულატაცია

განათლების რეფორმა – ძველი და ახალი გამოწვევები

სანამ რისკი კატასტროფად იქცევა

მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი

ინკლუზიური სწავლების დილემა საქართველოში

კლიმატის ცვლილება საქართველოს რეგიონებს სერიოზულ ზიანს აყენებს

ფილმები:

1. "ბოლოდროინდელი ცვლილებები საჯარო სკოლის ცხოვრებაში", აიპ სტუდია „ახალი დროება“
2. „შრომითი მიგრაცია საქართველოდან“, „მედიის განვითარების ფონდი პალიტრა“
3. „ბუნებრივი კატაკლიზმები და ადგილობრივ თემთა მზაობა“, შპს „ლოკოკინო“

კონფლიქტების გაშუქება

კონფლიქტების გაშუქების კომპონენტი ითვალისწინებდა 3 ტრენინგის ჩატარებას კონფლიქტების გაშუქების თემაზე. ტრენინგების მიზანი იყო პროფესიონალი და დამწყები ჟურნალისტებისათვის კონფლიქტების გაშუქების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაშუქების თავისებურებებისა უსაფრთხოების წესების სწავლება.

ტრენინგი სამ რაუნდად გაიმართა.

პირველ და მეორე ტრენინგს, რომელიც [2010 წლის 12-14 დეკემბერს](#) და [2011 წლის 8-10 მაისს](#) გაიმართა, უძღვებოდა ბრიტანელი ექსპერტი, BBC-ის კონსულტანტი ნიკ ნუჯენტი.

საქართველოს მედიის ხელშეწყობი პროგრამა

თანატრენი გახლდათ ნინო ჟიჟლაშვილი. ტრენინგის მონაწილეებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს "სტუდია რე"-ს ხელმძღვანელმა მამუკა ყუფარაძემ და BBC-ის ყოფილმა ჟურნალისტმა ზურაბ კოდალაშვილმა.

მესამე ტრენინგს უძღვებოდა მედია ექსპერტი ნინო ჟიჟლაშვილი, რომელმაც საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან ჩატარა ტრენინგი კონფლიქტების შესახებ.

პროექტის სხვადასხვა კომპონენტი იქნა შეფასებული თავდა მონაწილეთა და ექსპერტების მიერ. ასევე, პროექტის საბილო ანგარიში გადგზავნილი იქნა პარტნიორი და დონორი ორგანიზაციებისათვის და საბოლოო შეფასებებით პროექტის მიმდინარეობა და შედეგები ჩაითვალა წარმატებულად.



Media Strengthening Programme for Georgia

საქართველოს მედიის ხელშეწყობი პროგრამა

